Silknet JSC Digitally signed by Silknet JSC Date: 2019.02.14 15:46:16 +04'00'

შეთანხმების აქტი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ ზედა განთიადის საჯარო სკოლა (ს/კ 248386660), მისი უფროსის, ზურაბ კეკელიძის სახით და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“ (ს/კ 204566978), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ვაცხადებთ, რომ ვმოქმედებთ ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №225 განკარგულების, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 1 თებერვლიდან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (CON170000115) №12 ხელშეკრულება გაგრძელდეს ამავე ტენდერით გათვალისწინებული ტარიფებისა და პირობების შესაბამისად და შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„2.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 700,00 (შვიდასი) ლარი.“;

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 01 თებერვლიდან 2019-2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 1-ლი აპრილისა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“;

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 მაისამდე.“

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ზემოთხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რჩება უცვლელი.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და წარმოადგენს მხარეთა შორის 2018 წლის 1 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (CON170000115) №12 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

სსიპ განთიადის საჯარო სკოლა

ს/კ 248386651

დირექტორი ზურაბ კეკელიძე

_____

მიმწოდებელი:

კორპორატიული გაყიდვების
დეპარტამენტის უფროსი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

_____